ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – უ. ნ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ნ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 028/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ჯ.-ის მიმართ/სიითი N/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ჯ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 20 მარტს საჩივრით მომართა უ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება. ნ. ნ.-მ უ. ნ.-ს პოზიცია 2018 წლის 30 აპრილს ზეპირი ფორმით წარმოადგინა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

1.2 უ. ნ.-ს განცხადებით, ტელეკომპანია ,,რ.-მ" რუსთავის ბაზრობაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორის ჩვენება არასწორად გადმოსცა, რის გამოც უ. ნ.-მ 2018 წლის 21 იანვარს მისი ინტერესების დასაცავად მიმართა ადვოკატ ი. ჯ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას დაჰპირდა, რომ მოიწვევდა ტელევიზიებს და უ. ნ.-ს ჩვენებას სათანადოდ გააშუქებდა, ასევე უჩივლებდა ტელეკომპანია ,,რ. -ს'', პროკურატურაში შეიტანდა საჩივარს და მოითხოვდა, რომ საჩივრის ავტორისთვის გამოეყოთ სახელმწიფო დაცვა. ადვოკატმა, ჰონორარის სახით 3000$ (სამი ათასი) აშშ დოლარის გადახდა მოითხოვა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ დასახელებულ თანხაში შედიოდა ასევე ყველა ხარჯი.

თავდაპირველად, ადვოკატს ჰონორარის სახით თანხის ნაწილი - 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარი გადაეცა, ხოლო თანხის დარჩენილ ნაწილს ადვოკატი საქმის დასრულების შემდეგ მიიღებდა. ადვოკატს საჩივრის ავტორისთვის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ დაუდია, მან მხოლოდ ხელწერილი დაწერა, რომ უ. ნ.-სგან მიიღო 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარი და 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარი. იმ დროს საჩივრის ავტორი განერვიულებული იყო, რის გამოც ვერ შენიშნა, რომ ხელწერილზე წელი, თვე და რიცხვი არ იყო მითითებული.

1.3 ადვოკატმა საჩივრის ავტორთან მიიყვანა ტელეკომპანია ,,ი"-ს ჟურნალისტი, რომელთანაც საჩივრის ავტორმა ინტერვიუ საკუთარ სახლში ჩაწერა, და ,,რ.-ის" ჟურნალისტი, რომელთანაც ინტერვიუ სასტუმრო „ჰ. ი." ჩაიწერა. საჩივრის ავტორმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩვენება, ,,რ. -ს" მიერ გადმოცემული იყო დამახინჯებულად. ადვოკატის მიერ აღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას რუსთავის პოლიციაში გაჰყვა, სადაც საჩივრის ავტორმა ახალი ჩვენება მისცა და შემდგომ გაარკვია, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორის მიერ მიცემული ძველი ჩვენება აღებული არ ჰქონია. საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატს სხვა სახის საადვოკატო მომსახურება მისთვის არ გაუწევია.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 24 იანვარს ადვოკატი დაუკავშირდა მას და მოითხოვა 1000 (ათასი) ლარი. ადვოკატმა განმარტა, რომ ,,რ.-ის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებდა და აღნიშნული თანხა საჭირო იყო სასამართლოში ბაჟის გადასახდელად. საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ შეთანხმების მიხედვით, ადვოკატისთვის გადაცემულ თანხაში შედიოდა ყველა საჭირო ხარჯი. ადვოკატმა მოითხოვა სასამართლო ბაჟის თანხა და საჩივრის ავტორმა გადასცა მას 1000 (ათასი) ლარი. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ რ.-ს სასამართლოს გზით მოსთხოვდა 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, მის მიერ საჩივრის ავტორის ჩვენების დამახინჯებულად გაშუქების გამო. ამის შემდეგ 2 დღეში, ადვოკატმა საჩივრის ავტორს კვლავ დაურეკა და მოითხოვა 225 (ორასოცდახუთი) ლარი, რომელიც დამატებით კიდევ სჭირდებოდა ბაჟის თანხისათვის. ამის შემდეგ, ადვოკატმა კიდევ მოითხოვა 500 (ხუთასი) ლარი, რადგან შვილის ავადმყოფობის გამო სჭირდებოდა. საჩივრის ავტორმა აღნიშნული თანხები გადასცა ადვოკატს და ამის შემდეგ მოითხოვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლი, რომელიც ადვოკატმა არ გადასცა მას. ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადასცა ყალბი სარჩელი და ორდერი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი წავიდა სასამართლოში და გაარკვია, რომ ადვოკატს მისი სახელით სარჩელი არ ჰქონდა შეტანილი. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა დაურეკა ადვოკატს, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას და უთხრა, რომ დაუბრუნებდა 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარს რათა სხვა ადვოკატი აეყვანა. შემდეგ ადვოკატმა თავად დაურეკა საჩივრის ავტორს და უთხრა, რომ 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარს დაუბრუნებდა, მაგრამ სხვა ადვოკატის აყვანა ზედმეტი ხარჯი იქნებოდა და თუ საჩივრის ავტორს ადვოკატის მომსახურება დასჭირდებოდა, ადვოკატი ი. ჯ. მოემსახურებოდა მას უკვე მიღებული ჰონორარის ფარგლებში. ადვოკატმა ი. ჯ.-მ თავისი დაპირება თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით არ შეასრულა და დღემდე საჩივრის ავტორისთვის არანაირი თანხა არ დაუბრუნებია.

1.7 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატმა მიღებული ჰონორარიდან 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარიდან ტელევიზიების მოწვევის და კლიენტის ჩვენების გაშუქებისთვის 500 (ხუთასი) აშშ დოლარი გამოიმუშავა, ხოლო რადგან კლიენტის

ინტერესების დასაცავად სასამართლოს სარჩელით არ მიმართა, ადვოკატმა უ. ნ.-ს უნდა დაუბრუნოს მიღებული ჰონორარიდან 1000 (ათასი) აშშ დოლარი და გადაცემული სასამართლო ბაჟის თანხა 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარი, რომელიც ადვოკატს სარჩელის სასამართლოში შესატანად ბაჟის სახით არ გადაუხდია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ჯ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში 2018 წლის 29 მარტს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება უ. ნ.-ს საჩივართან დაკავშირებით. 2018 წლის 30 აპირლს ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი სახით წარმოადგინა თავისი პოზიცია საჩივართან მიმართებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა და მისმა მეუღლემ ნ. ნ.-მ მას მიმართეს საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა სამართლებრივი გზები და საადვოკატო მომსახურების საფასურად მოითხოვა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი, რის შესახებაც შეადგინა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ასლი გადასცა საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორმა ხელშეკრულებაზე ხელი არ მოაწერა იმ მოტივით, რომ თარჯიმნის მიერ გადათარგმნილ ხელშეკრულებას მოაწერდა ხელს, თუმცა როგორც შემდეგ აღმოჩნდა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელი აღარ მოუწერია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად მას საკუთარი საშუალებებით უნდა მოეწვია ტელევიზიები და საჩივრის ავტორის პოზიცია გაეშუქებინა. 2 დღის მანძილზე ადვოკატი აყალიბებდა ტექსტს სამართლებრივი მიზნის მისაღწევად. ტელეკომპანიებმა ,,რ.-მ“ ,,ი.-მ“ და ,,პ.-მ“ გააშუქა საჩივრის ავტორის პოზიცია. ამის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტისგან მიიღო საადვოკატო ჰონორარის ნაწილი - 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარი. თანხის მიღების შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს სმართლებრივი მომსახურება გაუწია რუსთავის მთავარი პოლიციის სამმართველოში, სადაც უ. ნ.-მ მოისურვა ჩვენების დაზუსტება, რაც წარმატებით განხორციელდა.

2.4 ,,რ.- ის“ მიერ საჩივრის ავტორის ჩვენების არასწორად გაშუქების გამო, უ. ნ.-ს ურთიერთობა დაეძაბა პარტნიორებთან. საჩივრის ავტორმა ადვოკატს დაავალა, რომ მისთვის დაცვის სამსახურიდან დაცვის თანამშრომელი გამოეყოთ. ადვოკატი დაუკავშირდა დაცვის კომპანიას და გაარკვია, რომ პირადი დაცვის დაქირავების საფასური თვეში 700 (შვიდასი) ლარის ღირებულება იყო. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა, რაზეც კლიენტის მეუღლემ ნ. ნ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ პირადი დაცვის საფასური ადვოკატს უნდა გადაეხადა. ადვოკატმა უარი განაცხადა პირადი დაცვის სამსახურის საფასურის გადახდაზე, ვინაიდან ეს მის მოვალეობებში არ შედიოდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის დაჟინებული მოთხოვნა იყო ტელეკომპანია ,,რ.-ის“ წინააღმდეგ საჩივრის შეტანა სასამართლოში ადვოკატმა შეადგინა სარჩელი, რომელიც კლიენტს გადასცა და საადვოკატო მომსახურების საფასურის დარჩენილი თანხის გადახდა მოსთხოვა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარი და განუმარტა, რომ დარჩენილ თანხას რამდენიმე დღეში მისცემდა. აღნიშნული თანხა იყო ადვოკატის ჰონორარის თანხა, ხოლო სასამართლო ბაჟის თანხა კლიენტს მისთვის არ გადაუცია. ამის შემდეგ, ორ დღეში საჩივრის ავტორმა დაურეკა ადვოკატს და მოითხოვა მისგან მთლიანი თანხის დაბრუნება იმ მოტივით, რომ ადვოკამა მისი ინტერესების დასაცავად არაფერი გააკეთა. საჩივრის ავტორის მეუღლის ნ. ნ.-ს პოზიცია იყო, რომ სხვა ადვოკატი იმავე

საქმეს 800 (რვაასი) ლარად გააკეთებდა. ადვოკატმა თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა, რადგან მან კლიენტის ინტერესები კეთილსინდისიერად დაიცვა და არ დაურღვევია არც ერთი სამართლებრივი ნორმა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ადვოკატი კი კონფლიქტურ სიტუაციას გაერიდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ჯ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგებიდან.

3.2 უ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 20 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატებოდა შემდეგში: ადვოკატმა ი. ჯ.-მ კლიენტს განუმარტა, რომ მისთვის გადაცემულ საადვოკატო მომსახურების საფასურის თანხაში გათვალისწინებული იქნებოდა ყველა ხარჯი, თუმცა შემდეგ კლიენტს სარსამართლო ბაჟის თანხის 1225 (ათას ორასოცდახუთი) ლარის გადაცემა მოსთხოვა და კლიენტს არ გადასცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება; ადვოკატმა კლიენტისგან მიიღო სასამართლოს ბაჟის თანხა, თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოსთვის არ მიუმართავს; ადვოკატი კლიენტს დაპირდა, რომ საადვოკატო ჰონორარის და სასამართლო ბაჟის თანხას დაუბრუნებდა, თუმცა არ დაუბრუნებია.

5.2 ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საადვოკატო ანაზღაურების გამოთვლის წესის წინასწარ განსაზღვრასთან და კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გადაცემასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობის დაწყებისას კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა განსაზღვროს ანაზღაურების გამოთვლის წესი, შესაბამისი განაკვეთი და განსაზღვროს საადვოკატო ხარჯების საკითხი. აღნიშნული ინფორმაციის ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიწოდება უნდა მოხდეს დროულად და შეთანხმებისამებრს შესაბამისი ფორმით, ხოლო თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის ინფორმაციის მიწოდების ფორმის თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, კლიენტის მოთხოვნისთანავე.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის N066/10 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ: ,,საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის. მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი.“

5.5 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 21 იანვრის ორდერის მიხედვით ადვოკატმა ი. ჯ.-ს უნდა დაეცვა უ. ნ.-ს ინტერესები წინასწარ გამოძიებასა და თბილისის საქალაქო სასამართოში, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. მხარეთა პოზიციები ემთხვევა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომ ადვოკატ ი. ჯ.-ს უ. ნ.-ს ინტერესები უნდა დაეცვა ,,რ -ის“ მიერ უ. ნ.-ს ჩვენების არასწორად ინტერპრეტირების საკითხზე და უნდა მოეწვია ტელევიზიები რათა მომხდარიყო უ. ნ.-ს ჩვენების სწორი ინტერპრეტაციით გაშუქება. ადვოკატს ასევე ,,რ.-ის“ წინააღმდეგ სარჩელი უნდა შეეტანა სასამართლოში უ. ნ.-სთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მხარეები ადასტურებენ, რომ ადვოკატის მომსახურების საფასური თავდაპირველად განისაზღვრა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. ადვოკატმა კლიენტისგან მიიღო ჰონორარის თანხის ნაწილი 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარი და ასევე 1750 (ათას შვიდასორმოცდათი) ლარი, რაც დასტურდება ადვოკატის მიერ კლიენტისთვის გადაცემული ხელწერილით.

5.6 საჩივრის ავტორს აქვს პრეტენზია, რომ ადვოკატმა ჰონორარის თანხის მიღებისას განუმარტა, რომ აღნიშნული თანხა მოიცავდა ასევე ყველა ხარჯის თანხასაც, თუმცა სასამართლოში სარჩელის შესატანად ადვოკატმა კლიენტს სასამართლო ბაჟის თანხისთვის მოსთხოვა თავდაპირველად 1000 (ათასი) ლარი, შემდეგ კიდევ 225 (ორასოცდახუთი) ლარი და ასევე შვილის ავადმყოფობის გამო 500 (ხუთასი) ლარი. საჩივრის ავტორი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ადვოკატმა არ გადასცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატმა კლიენტისგან 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის მიღების ფაქტი დაადასტურა, თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული თანხა მისი ჰონორარის თანხას შეადგენდა.

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის, საადვოკატო ხარჯების, საქმის წარმოების ხარჯების და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საკითხთან დაკავშირებით მხარეებმა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები წარმოადგინეს. ადვოკატის მიერ დადებულ ხელწერილში, რომლითაც იგი ადასტურებს უ. ნ.-სგან 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის მიღებას, აღნიშნულია, რომ ადვოკატმა თანხა სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მიიღო და ამ თანხის მიღებით დაიფარა ადვოკატის მომსახურების

თანხა. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული თანხა ადვოკატს მანამდე გადაეცა ვიდრე იგი სარჩელს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო ადვოკატის ხელწერილიდან გამომდინარე, თუ რა დანიშნულებით იღებდა ადვოკატი 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს. საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის იმ პოზიციას, რომ ადვოკატისთვის გადაცემული თანხა - 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი სასამართლო ბაჟისთვის იყო განკუთვნილი. ხოლო იმასთან დაკავშირებით თუ რა შეთანხმება არსებობდა ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო და საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, მხარეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე სახის უტყუარი მტკიცებულება თავიანთი პოზიციის გასამყარებლად, რითაც საპროცესო კოლეგიას ექნებოდა შესაძლებლობა არსებითად ემსჯელა საადვოკატო ხარჯებსა და საქმის წარმოების ხარჯებზე მხარეთა შეთანხმების თაობაზე. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ცალსახად ვერ მიემხრობა მომჩივანის ან მოპასუხე ადვოკატის პოზიციას ანაზღაურების წესთან და ხარჯების საკითხთან მიმართებით არსებულ შეთანხმებაზე შესაბამისი უტყუარი მტკიცებულების გარეშე. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს წინასწარ არ გააცნო ანაზღაურების გამოთვლის წესი და განაკვეთი.

5.8 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ სანოტარო აქტში ნომრით 180290022, რომლითაც უ. ნ. რწმუნებულებას ანიჭებს ნ. ნ.-ს, აღნიშნულია, რომ უ. ნ. ფლობს ივრითულ ენას, ხოლო სანოტარო აქტი თარგმნილია ივრითზე საჩივრის ავტორის მიერ არჩეული თარჯიმნის მიერ, საჩივრის ავტორის ხელმოწერაც დაფიქსირებულია ივრითულ ენაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საჩივრის ავტორისთვის ქართული ენა არ არის მშობლიური ენა, საპროცესო კოლეგია იზიარებს ადვოკატის პოზიციას, რომ მან საადვოკატო ხელშეკრულება კლიენტს გადასცა, მაგრამ საჩივრის ავტორმა ხელშეკრულებაზე ხელი არ მოაწერა იმ მოტივით, რომ თარჯიმნის მიერ გადათარგმნილ ხელშეკრულებას მოაწერდა ხელს, თუმცა შემდეგ საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელი აღარ მოუწერია. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ გადასცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და არ მიაწოდა მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაცია სათანადო ფორმით.

5.9 საჩივრის ავტორს პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა კლიენტისგან მიიღო სასამართლოს ბაჟის თანხა, თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოსთვის არ მიუმართავს, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან კლიენტთან შეთანხმების მიხედვით კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კეთილსინდისიერად წარმართვა და იმ იურიდიულ მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ამავდროულად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკის და საპროცესო მოქმედებების არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

5.11 მხარეთა განმარტების შესაბამისად, ადვოკატს კლიენტისთვის მომსახურება უნდა გაეწია უ. ნ.-ს ჩვენების სატელევიზიო სივრცეში სწორი ინტერპრეტაციით გაშუქებაში, რისთვისაც ადვოკატს უნდა მოეწვია ტელევიზიები. კლიენტის აღნიშნული მოთხოვნა ადვოკატმა შეასრულა და აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებით კლიენტს პრეტენზია არ აქვს. ტელევიზიების მოწვევის შემდეგ, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების მიხედვით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს სარჩელით უნდა მიემართა სასამართლოსთვის ტელეკომპანია ,,რ.-ის" წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების თანახმად ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

5.12 საქმის წარმოების პირველი ეტაპის დასრულებისას, რაც გულისხმობდა სატელევიზიო ეთერში კლიენტის ჩვენების სწორი ინტერპრეტაციით გაშუქების უზრუნველყოფას, ადვოკატს მიღებული ჰქონდა ჰონორარის თანხის ნაწილი - 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარი. ადვოკატმა განმარტა, რომ შეადგინა სარჩელი, რომელიც კლიენტს გადასცა და კლიენტის ინტერსების სასამართლოში დასაცავად მან უ. ნ.-ს მოსთხოვა ჰონორარის დარჩენილი ნაწილის გადახდა. მან კლიენტისგან მიიღო 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი რაც ადვოკატის განმარტებით იყო მისი საადვოკატო ჰონორარის თანხა, ხოლო საჩივრის ავტორის პოზიციით ეს სასამართლო ბაჟისთვის განკუთვნილი თანხა იყო. სარჩელის გადაცემის შემდეგ ადვოკატს დაუკავშირდა ნ. ნ. და მოსთხოვა გადაცემული თანხის დაბრუნება იმ მოტივით, რომს სხვა ადვოკატი იმავე საქმეს რვაას ლარად გააკეთებდა.

5.13 ადვოკატის მიერ განსახორციელებელ და განხორციელებულ საადვოკატო მომსახურებაზე მსჯელობისას საპროცესო კოლეგია დაეყრდნო დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებას - ადვოკატის მიერ შედგენილ ხელწერილს კლიენტისგან თანხის მიღებასთან დაკავშირებით და მხარეთა ახსნა-განმარტებას. ხელწერილში, რომლითაც ადვოკატი ადასტურებს კლიენტისგან 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის მიღებას, მითითებულია, რომ აღნიშნულ თანხას ადვოკატი იღებს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით და ამ თანხის მიღებით საადვოკატო მომსახურების თანხა გადახდილია. ხელწერილში არ არის მითითებული, რომ ადვოკატმა აღნიშნული თანხა, როგორც სასამართლო ბაჟისთვის განკუთვნილი თანხა, ისე მიიღო. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ უ. ნ.-ს ინტერესების დასაცავად სარჩელის შედგენამდე ადვოკატს კლიენტისგან მიღებული ჰქონდა ჰონორარის თანხის ნაწილი. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ მან ადვოკატს 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი სასამართლოს ბაჟის თანხის სახით გადასცა.

5.14 საჩივრის ავტორის აქვს პრეტენზია, რომ რადგან კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატმა სასამართლოს სარჩელით არ მიმართა, მან უ. ნ.-ს უნდა დაუბრუნოს მიღებული ჰონორარიდან 1000 (ათასი) აშშ დოლარი და გადაცემული სასამართლო ბაჟის თანხა 1725 (ათას შვიდასოცდახუთი) ლარი, რომელიც ადვოკატს სარჩელის სასამართლოში შესატანად ბაჟის სახით არ გადაუხდია. აღნიშნულთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან

რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.15 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს.

5.16 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს ეგრეთწოდებული „დამსახურებული/გამომუშავებული საზღაური“ რომელიც გონივრულობით ფასდება ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებების რაოდენობით, ხარისხით და სტრატეგიით. მხარეთა ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ ადვოკატს მისი კლიენტის ინტერესებისათვის არაერთი იურიდიული სახის მოქმედება აქვს განხორციელებული, კერძოდ: ადვოკატმა კლიენტის ჩვენების სატელევიზიო სივრცეში სწორად ინტერპრეტირებისთვის მოიწვია ტელევიზიები; ადვოკატმა კლიენტის ინტერესები დაიცვა რ.-ის პოლიციის მთავარ სამმართველოში უ. ნ.-ის ჩვენების დასაზუსტებლად; ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს პარტნიორებთან მოლაპარაკებებში; ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია პირადი დაცვის მომსახურების მიღების თაობაზე. საპროცესო კოლეგია ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატს კლიენტისგან შეთანხმების შესაბამისად საადვოკატო ჰონორარის თანხა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი მთლიანად არ მიუღია. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა მისთვის გადაცემული ჰონორარი სამართლიანად გამოიმუშავა. ხოლო ის ფაქტი, რომ ადვოკატმა კლიენტისგან 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი მიიღო როგორც სასამართლო ბაჟის თანხა და არა როგორც საადვოკატო ჰონორარი, ვერ დადასტურდა. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ იგი აფასებს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად განხორციელებულ იურიდიულ ქმედებებსა და მიღებული ჰონორარის პროპორციულობას და დამსახურებული საზღაურის მიღებას პროფესიული ეთიკის ჭრილში. იქიდან გამომდინარე, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა თავისი არსით სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენს, ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნების მოთხოვნით საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5, მე-6, მე-8 და მე-15 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N028/18 ადვოკატ ი. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/